№ 47

სახალხო გაზეთი

№ 47

შაბათი, 3 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კაპიტალის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამკვლევიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ედირება.

* * * * ხელის მომწერთა საყურადღებოდ * * * *

* * * * * * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიღებლობაზე ხელისმოწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა დია ... ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ... 9 საათიდან 3 საათამდე და ნამუშევდეს 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ღრმად შეწუხებულნი: მღვდელი **ირაკლი ანტონის ძე** და მეუღლე მისი **დარია გიორგის ასული, ბიჭია ანტონის ძე, ივლიანე** და **ანტონ ირაკლის ძენი, მიხაკო ბიჭიას ძე** და მეუღლე მისი **ვარა იოსების ასული აბაშიძენი ვლადიმერ ასლანის ძე** და მეუღლე მისი **ლიზა ბიჭიას ასული ჯაფარიძენი** ღრმა მწუხარებით მოკლულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი ორი—ძვირფასი და დაუვიწყარის შვილის, მესამენი—ძმის-წულის, მეოთხე და მეხუთე—საყვარელ დის, ხოლო უკანასკნელი ოთხი მარად დაუვიწყარის ბიძაშვილის ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოწაფის

მარუსიასას.

მოკვალებულის გამოსვენება მოხდება კვირას, 4 ივლისს, სოფ. ქალაში, (სახსერიდან შვიდი ვერსია), შორაპნის მაზრა, ხოლო დაკრძალვა ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკკლესიის გალავნში (2—2)

კვირას, 18 ივლისს,

დილის 10 საათზე, ქიათურის თეატრის დარბაზში მოხდება

კრება შავის-ქვის ამხანაგობისა

სხვა და სხვა საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად. (5—1)

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—12)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 შუადმდე საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

დია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ., სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ბ. ნერ. დ. ელექტრ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ბ. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ბ. ბ. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ბ. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეილავათ. საფასურით. (200—ნ.—217)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის, ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ბ. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ბ. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოიგებით. (წლ.—ნ.—378)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

რომ წინააღუდგეთ ტფილისში ხოლერის გავრცელებას, აგრეთვე იმის გამო, რომ სასმელ წყალში რამდენჯერმე გაშინჯვის შემდეგ აღმოჩნდა ხოლერის საეჭვო ვიბრიონები,

ტფილისის ქალაქის გამგეობამ საჭირო ზომები მიიღო წყლის გასაწმენდათ, მაგრამ

სთხოვს მცხოვრებთ სასმელად იხმარონ

აღუღებული წყალი,

ან გაწმენდილი „ბერკეფელდის“ ფილტრში. (1—ნ.—1)

მოწოდება

ქალაქის სანიტარულ-ადმასრულებელი კომისიისა

ხოლერისაგან თავის დასაფარავად საჭიროა: სრულებით არ დალიოთ აუღუღებელი წყალი, სასმელი წყალი ახლად ადუღებული ან ბერკეფელდის ფილტრით გაწმენდილი უნდა იყოს.

ზომაზე მეტ საჭმელს ნუ მიიღებთ.

გაუფრთხილდით ყველაფერს, რაც გამოიწვევს კუჭის მოშლას!

ერიდეთ ზომაზე მეტი მაგარ სასმელების მიღებას!

ნუ დალევთ ბევრს ცივ წყალს ან სხვა სასმელს!

ნუ დაიჩებით დიდ ხანს უქმელი!

ნუ გამოხვალთ სახლიდან უნაყოფოთ!

ნუ იბანავებთ ცივ წყალში, მით უკრო სადილის შემდეგ!

არ იბანაოთ მტკვარში!

არ დაიდალოთ მეშაობითა და სიარულით.

უმი რძე არ დალიოთ.

ერიდეთ უმს ან ცხელი წყლით გაუწმენდელ ხილს და სანოვაგის მიღებას.

და ნუ სჭამთ ზომაზე მეტს.

დაიცავით სისუფთავე ბინისა, ტანისამოსისა, თეთრეულობისა, ლოგინისა, სუფთად შეინახეთ ტანი და ხელები.

ერიდეთ აუღუღარ წყლით ხელ-პირის დაბანას და პირი გამოირეცხეთ ადუღებული წყლით.

ხელები ხშირად იბანეთ საპნით.

არაფერი სჭამოთ ხელები დაუბანებელი.

დაიფარეთ ბუზებისაგან და დახურული შეინახეთ ჭურჭელი, პური და ყველანაირი საჭმელი. ეცადეთ ბუზების მოსპობა შეძლებისა დაგვარად.

დაიბეჭდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს

ივნისის ნომერი

ჟურნალ

„განათლებისა“

შემდეგის შინაარსით: 1. მზიანი ხეოლა (ა. დაუგ) ლ. ბოცგაძისა. 2. სახალხო განათლების საქმე საქართველოში—**აასაბეკრიძისა.** 3. სტენჯა (ლექსი) **აკაკისა.** 4. სიმართლისკენ (სპარსული ზღაპარი მეგენიეგისა) **განფიროულისა.** 5. მეგრული ნანა (ლექსი) **მელიტონ გოგებეჩიანი.** 6. გამოუთქმელი სიხარეა **ცქვიტისა.** 7. აკაკის („ვადარჯულებულის“ გამო) ლექსი **ლადო გეგეჭკორისა.** 8. სამეზობლოს მეცხვალის, გეოგრაფიის და ისტორიის პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისთვის. 9. პედაგოგიის ისტორია დ-რ **ვ. ბაიერისა.** 10. ბრიტანეთი გერმანელ პედაგოგის მარრელმანისა. Ratti-ისა. 11. მინაური მიმოხილვა—რა უნდა აკეთონ ზაფხულობით მასწავლებლებმა. **ლასბანისა.** 12. ძველი ამბები—ზოგიდან **აქილლესისა,** ჰეტერბურგიდან **ლადო გეგეჭკორისა.** 13. ბიბლიოგრაფია—„რას გვიამბობს ფთანი“ **ბანისა.** 14. ცნობები ...ებ და მეგნიერებიდან—ელექტრონობა ბიბლიაში. 15. რედაქციაგ ვიფრენთ (გეშანელიდან) **ივ. ყიფშიძისა.** და სხ. განცხადებანი.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან. სოფლის მასწავლებლებათვის 2 მანეთი.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія Л. Г. ВОЦВАДЗЕ. **რედაქტორ-გამომცემელი ლ. ბ. ბოცვაძე.**

ექიმი **აბასთუმანიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი**

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—13)

ექიმი **ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კირჩხინის ქ., № 9. (ულ)

ექიმი **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ს. ...ამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—159

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ზუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხეიძის ქ. N 4. სახლი **გაბაშვილისა.** (ულ)

კაბინეტი **ელექტრონის და რენტგენის სამ. კურნალისი** **მ. ბედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყოფილ ...ის ქუჩა, ბაგეთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—99)

ექიმი **გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ენენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლება ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიზიოლოგიის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—ნ.—9)

ექიმი **ვ. ღამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (ულ)

ექიმი **აბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პრ. N 12, სახლი **ბერგანისა.** (ულ)

საკურნალო

სპეციალისტ სამწვალ ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

სარაჯ—ბავშ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოეოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ-დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ხუდაბაშევი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ-დღე 11—12½ საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

ორემბოვსკი—ცხვ., ყელის, ყურისა. 11½—12½ საათ.

მიკირტუმოვი მიხტარიანცის ნაცვლად) დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ფანდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

ი. მ. ასპიროვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—ნ.—62)

ექიმი **მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში.**

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბეგიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა. (25—ბვ.—7)

ექიმი **ბოგრაჯოვი ა. ს. ალადაშვილი**

ყოფილი ორდინატორი ნარკვევის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფებით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ურუსოვის ქუჩა სახლი ზუბალაშვილისა. 25—ნ.—11

ექიმი **დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელიზაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი **ვასილ ფერეთელი ქუთაისში.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 5—6 საათზე. ივანოვის ქ., ძველ ქიქოძის სახლი. (0—ბ.—217)

ექიმი **კბილიანი ნინო რაზილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოდგას ქუჩა N 25.

ზემო ავჭალაში იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო შშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

იკითხეთ „სახ. გაზ.“ რედაქციაში.

დაპირებები

ბეტმენ დეპეშათა სააგენტოსაგან.

2 ივლისი.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. შეკითხვის საპასუხოდ გრეიმ განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობისაგან მიიღო ცნობა ინგლისის გემის „ონვარდი“-ს დატყვევების შესახებ კუნძულ კანინთან. ამის შესახებ დეპეშით ეცნობა პეტერბურგელ ჩვენს ელჩს და დაევალა საჭირო ზომების მიღება. გრეიმ დასძინა, რომ გემის უფროსის ცნობით, დატყვება ინგლისის ტერიტორიის გარედ მოხდაო.

ვენა. გაზ. „ცეიტი“ ეხება რუსეთ-იაპონიის ახალ შეთანხმებას და ამბობს, რომ ავსტრო-ვენგრიას არაფერი სასიხარულო აქვს: აღმოსავლეთში ზურგ გამაგრებული რუსეთი, დასავლეთისკენ იბრუნებს პირსაო.

ბერლინი. გაზ. „ტეგლიცეტრუნდშაუ“-ს სიტყვით, შეთანხმება მარტო იაპონიისათვის არის სასარგებლო, დანარჩენი სახელმწიფონი, გარდა ინგლისისა, არას მოიგებენ, რადგან დღეს სანახევროდ ღია კარები, შემდეგ სრულიად დაიკეტებაო. რუსეთ-იაპონიის დამეგობრება პოლიტიკური მარცხია დანარჩენ სახელმწიფოთათვის. სიფრთხილისათვის ღია კარების საკითხი თვით შეთანხმებით უნდა ყოფილიყო აღიარებულიო. გაზ. „პოსტი“ ამ შეთანხმებას თავ-დამცველ კავშირს უწოდებს. შემდეგ გაზეთი კითხულობს—დიდ ხანს დარჩება თუ არა შორეულ აღმოსავლეთში ღია კარები. მაროკოს მაგვარი მოქმედება მანჯურიაშიც ჰპოვებს ნიადაგსო. გაზეთი აფრთხილებს გერმანიის დიპლომატიას, მეტი სიფრთხილით მოიქცეს.

სალონიკი. ბერძნებმა მონასტირში კრება გამართეს ეკლესიების შესახებ გამოცემულ კანონის პროტესტის გამოსაცხადებლად. მიტინგის გათავებისას შეტაკება მოხდა პოლიციასა და ხალხს შორის. არიან მსუბუქად დაჭრილები.

ტუნი (შვეიცარია). გაიხსნა ელექტრონის რკინის გზა, რომელსაც სამ წელიწად ნახევარს აშენებდნენ. გზას 2360 მეტრის სიგძე აქვს და ადის მაღალ მთის ნივენის წვერზე.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. გრეიმ პასუხი გასცა შეკითხვაზე და განაცხადა, რომ მალე მივიღებთ რუსეთ იაპონიის ომის დროს დაღუპულ გემების: „ნაიტკომანდერის“ და „ჰიპსანგის“ დაღუპვის უკანასკნელ საქმის განაჩენის ტექსტს. მაშინ გავსინჯავთ, თუ რა უნდა შეასრულოს რუსეთის მთავრობამაო. გრეიმ სთქვა, სანამ სახელმწიფოთა შორის არსებობს 1907 წლის ჰაგის კონფერენციის ხელშეკრულება, შეუძლებელია საბოლოოდ გადაწყდეს საპრიზო გემების საკითხი, მებრძოლ მხარისათვის ყოველთვის ძნელი იქნება ამისთანა შემთხვევებს ანგარიში გაუწიოს და მშვიდობიანად მოაგვაროს.

ჰაერში ფრენა.

პარიზი. 30 ივნისს, საღამოს 8 ს. აფრინდა ავიატორი სამუელი, ირგვლივ შემოუარა ქალაქს და უვნებლად დაეშვა სან-ტრუვილში.

პეტერბურგი. დილის 7½ საათზე სოფელ ხალიეზში აფრინდა ჰაეროსტატი „ლებედი“, დირიჟაბლი ავიდა 250 მეტრის სიმაღლეზე და აქედან გაემართა პეტერბურგისაკენ, რამდენჯერმე შეინავარდა ქალაქის შუა ადგილს და სამი საათის მარჯვე ფრენის შემდეგ მშვიდობიანად ჩამოეშვა. დირიჟაბლის სანახავად დიდ ძალი ხალხი მოაწყდა, ქუჩები გაივსო მაყურებლებით.

რუსეთი

ბლაგოვეშჩენსკი. ამურის ექსპედიციის უფროსი კამერგერი გონდატი ნავთსადგურის დათვალიერების შემდეგ ხაბაროვსკში წავიდა.

ოდესსა. შეიპყრეს სამი შანტაჟისტი.

ქალაქის გამგეობამ ნება დართო დარიბებს უფასოდ ისარგებლონ ხოლერის დროს აბანოებით და სადეზინფექციო წამლებით.

ნოვოჩერკასკი. მიწის მომწესრიგებელმა საბჭომ დაამთავრა მიწის გამოსყიდვის საქმე უმიწო კაზაკებისათვის, აგრეთვე მათი დასახლებისა თავისუფალ ადგილებზე. არჩეულ იქმნა საბჭოს მუდმივი წევრები.

კიშინიოვი. დასრულდა საკრედიტო საზოგადოების რევიზია. გაფლანგულია 600,000 მანეთი. გამფლანგველნი დაატუსაღეს.

ეკატერინოსლავი. პარაკლისის გადახდის შემდეგ, რომელსაც დესწრნენ მთავრობისა და ერობის წარმომადგენელნი, გაიხსნა სამხრეთ-დასავლეთის მხრის გამოფენა სასოფლოსამეურნეო იარაღებისა.

ოდესსა. სენატორი დედიულინის რევიზია დასრულდა. შეკრებილია მასალა საინტენდანტოს ამ უკანასკნელ ათის წლის მოქმედების შესახებ.

სევასტოპოლი. გემი „ალექსანდრე“ ნავთსადგურიდან გასვლისას დაეჯახა ნავთსადგურში მომავალ გემ „პრუტს“ და შესაჩნევად დააზიანა.

მოსკოვი. ფრანგთა კოლონიამ გადაიხადა თავიანთი ეროვნული დღესასწაული. გამართეს ბანკეტი. დეპეშა გაუგზავნეს ფალიერს.

ალექსანდროვსკი (ეკატერინოსლავის გუბერნია). სოფელ ანდრეევში მტრედის კვერცხის სიმსხო სეტყვა მოვიდა. გააფუჭა 1500 დესეტინა ნათესი. დაიხრჩო ბევრი შინაური საქონელი და ფრინველი.

ხოლერა

ხარკოვი. ქალაქის თავმა შუადგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა შესწყდეს ოლერით ავადმყოფთა ქალაქის საავადმყოფოში გზავნა რკინის გზის ოსამსახურეთა და სამხრეთ რკინის ზას დაევალოს თავისი ხოლერიან ოსამსახურეთა მოვლა.

ეკატერინოსლავი. რადგან ბერგან გლეხები წინააღმდეგობას ეწევენ სანიტარებს ხოლერასთან რძოლის დროს, გუბერნატორმა ეაავალა ერობის უფროსებს დაეხარნენ ექიმებს და შესაფერისი შთაონ; ბა მოახდინონ გლეხებზე. ასეიივე შინაარსის მოწერილობანი დაუგზავნა მღვდლებს ეპისკოპოსმა ვიმონმა.

პეტერბურგი. დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 17, ეარდაიცვალა 2 კაცი. ნიჟეგოროდის, ვოლინის და უფიმის გუბერნია საშიშრად იქმნა გამოცხადებული ოლერის მხრით, ხოლო ასტრახანის ბუბერნიის ყირგიზთა მინდვრების ოფლები—შავი პირის მხრით.

პეტერბურგი. ხოლერის შესახებ ეტყობინებიან: ყუბანის ოლქში, სტ. ოტრადნოეში ავად გახდა 32, გარდაიცვალა 19 კაცი; დერბენტში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3, ყარსში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 4; კერჩში ავად გახდა 3; ნიჟნში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1; ნიკოლაევში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 1, ავად არის 7, მათ შორის ქალაქის ექიმი ლიგინი; ხერსონის გუბერნიაში კვირის განმავლობაში ავად გახდა 566, მორჩა 223, გარდაიცვალა 218 კაცი; ქალაქ ხერსონში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 3 კაცი.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ხოლერა.** 1 ივლისს ხოლერის ნიშნებით ავად გახდნენ: თუმანოვის ქუჩაზე — ალექსანდრე დეგტიარევი, 12 წლისა; კრასნოგორის ქუჩაზე—კალინკა ოსეფიანცი, 22 წლისა; არღუთინსკის ქუჩაზე — ხამაიად კარაპეტოვი; მეექვსე უბანში, მტკვრის მახლობლად, ქალაქის ფარდულში — გრიქულ მელიქოვი, 50 წლისა; გიორგიევის ქუჩაზე — ეკატერინე ლაზარევისა, 60 წლისა; პრაჩეშნი შესახვევში—მელანია ყუბლაშვილი 32 წლისა; საპიორის ქუჩაზე — დარია შამაკოვისა, 45 წლისა; ციციანოვის ქუჩაზე—საააკ საააკოვი; სურპ-კარაპეტის ხევთან—ხაჩიკ ძე მუხტარისა, 25 წლისა; დესიმონოვის ქუჩაზე — რომანოზ რაკოვი; ანდრეევის ქუჩაზე — მიხაკ ტატოიანცი, 29 წლისა; ანტონოვის ქუჩაზე — ნიკოლოზ გაგანიძე, 12 წლისა; დიდი მთავრის ქუჩაზე —ვალის ლომაურიშვილი, 22 წლისა; ანტონოვის ქუჩაზე — მარიამ საყურაშვილისა; ეტაფის ქუჩაზე — ქეთევან ორჯონიკიძე, 8 წლისა; არსენალის გზაზე — პელაგია სამხარაძე, 88 წლისა; ვორონცოვის ქუჩაზე—ალასკერ ალი მამედ ოღლი, 35 წლისა; სამოვოლნი ქუჩაზე — მალაქია ნიკოლაშვილი, 26 წლისა; ელისაბედის ქუჩაზე — ლუკა მოველიძე, 28 წლისა: ნეკრასოვის ქუჩაზე—ილიკო მუჩაიძე, 30 წლისა; ელისაბედის ქუჩაზე—შუშანიკა ეგიანცი, 33 წლისა; ვორონცოვის ქუჩაზე—შახმიარ ისმაილ კიზი, 50 წლისა; ეკატერინეს ქუჩაზე—ანდრია ბზარიაშვილი; მე-15 გრენადერთა პოლკის შტაბის ბინაზე — ყარლიდან ჩამოსული პოდპორუჩიკი ბაშკადილიარის პოლკისა ვასილი რუდნოვი; პავლოვის ქუჩაზე—პრასკოვია ჩურაშავა, 25 წლისა; ფოსტის ქუჩაზე, გარდაიცვალა გიორგი ნატრაძე. 30 ივნისს მიიყვანეს, როგორც ჩეეულებრივი ავადმყოფი, მელანია ხრიგულისა, 80 წლისა, რომელიც გარდაიცვალა. ექიმების შემოწმებით, იგი ხოლერით გარდაიცვალა.

✦ **თავის ჩამოხრჩობა.** 1 ივლისს „სემეინი ნომრებში“ ელისაბედის ქუჩაზე თავი ჩამოიხრჩო რკინის გზის მოსამსახურემ, ქუთაისის მცხოვრებმა იოსებ დავითის-ძე ფოროქიშვილმა. მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **დაჭრა.** 1 ივლისს, დილის 6 საათზე, პანასევიჩის ქუჩაზე, საკუთარს სახლში გეევორქ ნაზაროვმა ხანჯლით დასჭრა ტფ. მოქალაქე ნიკოლოზ ფლეგონტოვი. როგორც გამოირკვა, ნაზაროვი დაჭრილის ძმას მოუსყიდნია. მიზეზი გაუყოფელია დგილ-მამული ყოფილა.

✦ **ხოლერა ახალციხეში.** როგორც გვატყობინებენ, 30 ივნისს ახალციხეში ხოლერით ავად გამხდარა 7 კაცი; ამათაგან მომკვდარა ორი.

✦ **ეჭვით შეპყრობა.** როგორც ვწერდით, 25 ივნისს წაღვერში ვიღაც უცხობებმა დასჭრეს ამიერკავკასიის რკინის გზის ჟანდარმთა სამმართველოს უმფროსი ადიუტანტი გუსაკოვი. როგორც გვატყობინებენ, ამ საქმის გამო ეჭვით შეუპყრიათ: ერმილე ტებიტაძე, რაჟდენ ვაშაკიძე და აკოფოვი,

✦ **ახალი შანტაჟი.** როგორც გვატყობინებენ, ქართლის ზოგიერთ სოფელში გაჩენილან ახალი ჯურის შანტაჟისტები. ისნი თურმე რაღაც გამხმარ ბალახს ატარებენ და შეუგნებელ ხალხში ჩაის მაგივრად ასაღებენ.

✦ **დიდუბელთა თხოვნა.** დიდუბის მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას, რათა მოწესრიგებულ იქმნას სასმელი წყლის საქმე. მცხოვრებლები სჩივიან, წყლის სიცოტავის გამო თვითეულს ჩვენგანს საათობით გვიხდება წყლის ონკანთან ლოდინი და ხშირად ვერ ვშოულობთ წყალსაო.

✦ **საბურთალოელთა გასაჭირი.** დიდი წვიმების გამო საბურთალოზე დიდი გუბე დადგა (ახალ უბანში), სიცხისაგან სულ ხავსი მიეკიდა, გამწვანდა, გველ ბაყაყით აივსო და ჰაერსა სწამლავს. არა ერთხელ მიმართეს საბურთალოელებმა ქალაქის მამებს, რომ ელონათ რამე ამ ტბის წინა-ღმდეგ. მაგრამ დღესაც არაფერი დახმარება სჩანს. თითონ ხატისოვმაც კი დახმარება აღუთქვა, შველა კი არსად სჩანს. უბედურ ვარსკვლავზე არიან დაბადებულნი ტფილისის განაპირა უბნის მცხოვრებნი.

✦ **ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება.** დღეს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საგანგებო კრება მოჰხდება. კრება განიხილავს გამგეობის მოხსენებას ხოლერასთან საბრძოლველად ქალაქის თანხიდან ფულის გადადების შესახებ. საქალაქო დებულების მე-70 მუხლის ძალით, ეს საგანგებო კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც წევრი უნდა დაესწროს.

✦ **პროფესიონალური სწავლა სვანეთში.** გაზეთ „კავ“, სიტყვით, კავკასიის ოლქის სიმოსწავლის მზრუნველს სვანეთში პროფესიონალურ ცოდნის გასავრცელებლად შემდეგი ზომები მიუღია: 1908 წელს ორი მასწავლებელისთვის შეუსწავლებია მერძეობის საქმე; 1909 წელს შეუძენია საჭირო სეპარატორი ორი სასწავლებელისთვის; 1910 წ. იანვარში გაუგზავნია ინსტრუქტორი ჩუქურთმის მკრელი სოფ. ცაგერში. სახელოსნოს საქმე კარგად წავიდა ინსტრუქტორის წყალობით, და მოწაფეთა ზოგიერთი ნაწარმოები ოლქის მზრუნველმა მოიწონა და გაგზავნა პიატიგორსკში გამართულ მოწაფეთა ნამუშევართა გამოფენაზე. იმედია ტყის სიმდიდრის გამო, სვანეთში ეს საქმე ხალხის სასარგებლო წყაროდ კადიქცევა.

✦ 29 ივნისს, დამის 12 საათზე სადგურ მოდითთან მატარებიდს მოუკლავს გზის დარაჯი ივანე მჭედლიშვილი.

✦ პირველ ივლისს სადგ. სადეთსა და ჭიათურას მორის იპოვეს რკინის გზის დარაჯის სიდორმინ კიკნაძის გვამი, მატარებლისაგან გასრესილი.

✦ სადგურ საჩხერესა და დარკვეთს შუა ნახეს გზის დარაჯის ალექსანდრე ტერტვაძის გვამი. რანაირად ჩავარდა მატარებლის ქვეშ, ჯერ არაა გამორკვეული.

✦ პირველ ივლისს ბოდიანიმ საერთო ხარჯების დრის ხელოდ 7 უპასპორტო შეიპყრო.

საგანგებო დადგენილება

ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად ტფილისის მცხოვრებთა საგანგებულად დადგენილება

ტფილისის გუბერნატორმა შემდეგი საგანგებულო დადგენილება გამოსცა, რომელიც უკვე ძალაში შევიდა.

1) სახლის პატრონი, მოურავი ან მდგმური, სასტუმროს, ღამის გასათევ ბინის, ფაბრიკის, სახელოსნოს და სხ. პატრონები ვალდებულნი არიან ვინც ავათ გახდება ხოლერით ან რაიმე საეჭვო ავადმყოფობით აცნობონ მახლობელ საპოლიციო უბანში ან სასანიტარო მზრუნველს.

2) ექიმები ვალდებულნი არიან ხოლერით ავადმყოფის შესახებ დაუყონებლივ აცნობონ წერილობით ან ტელეფონით მახლობელ საპოლიციო უბანში და აგრეთვე საგუბერნიო სამმართველოს საექიმო განყოფილებას და სასანიტარო საექიმო კომისიას.

3) არავითარ ნივთების გამოტანა არ შეიძლება იმ ოთახიდან, სადაც ხოლერიანი ავადმყოფი იწვა, სანამ ექიმი არ მივა და მისი ხელმძღვანელობით დეზინფექციას არ გაუკეთებენ როგორც ოთახს, ისე ნივთებს.

4) ხოლერიან ან მსგავს ავათმყოფის განავალს დაუყონებლივ დეზინფექცია უნდა გაუკეთონ წყალში გახსნილი კირით ან გახსნილ გოგირდ—კარბოლის-სიმჟავის 5 პროც. შერევით.

შენიშვნა 1. კირი ასე მომზადდება: უნდა აიღოთ უწყლო წმინდა კირი, დასველოთ ის წყლით და როცა დაიშლება, უნდა ჩაჭყაროთ შუშის ან თიხის ჭურჭელში ისე, რომ მთელი ჭურჭლის მეოთხედი ადგილი დაიჭიროს. შემდეგ უნდა-ავსოთ წყლით და აჯანჭყალოთ. ამის შემდეგ მაგრად უნდა დაუცოთ თავი და შეინახოთ. მაგრად თავდაცობილ ჭურჭელში დიდხანს არ ჭკარგავს ძალას.

შენიშვნა 2. გოგირდ-კარბოლის-სიმჟავის სითხე ასე მზადდება: სამი წილი გაუწმენდელი 100 პროც. კარბოლის სიმჟავეს შუშის ჭურჭელში უნდა მიუმატონ ერთი წილი გოგირდის სიმჟავისა ნელნელა-თანდათანობით, ხანგამოშვებით, რომ შერევის დროს არ გახურდეს. სამი დღის შემდეგ სითხე გამოდგება მოსაპკურებლათ.

5) ჭები უნდა დახურულ იქნას სასანიტარო-საექიმო კომისიის პირველსავე მოთხოვნილებაზე.

6) ყველა დაწესებულებებში, სავაჭროებში და სხ., სადაც კი წყლის-საყვანიდანაა გაყვანილი წყალი, კრანებზე უნდა მოწყობილი იქნას წყლის გასაწმენდად ბერკენფელდის სისტემის „ფილტრები“. იმ დაწესებულებებში, სადაც წყლის-საყვანიდან არ არის წყალი გაყვანილი, უნდა იხმარებოდეს მხოლოდ გადადუღებული და გაცივებული წყალი, რომელიც უნდა შენახულ იქნას თავდაცობილ ჭურჭელში. ჭურჭელს უნდა ეწეროს, რომ შიგ გადადუღებული წყალი ინახება.

7) ყველა საზოგადო დაწესებულებებში, სავაჭროებში და სხ. ადგილებში ყოველ დღე-დამეში თითოჯერ მაინც უნდა დეზინფექცია გაუკეთონ ფეხისადგილებს, როგორც ამის შესახებ დარიგებას მისცემს სასანიტარო აღმასრულებელი კომისია.

8) იმ სახლიდან, სადაც ხოლერიანი ავადმყოფი იყო, აკრძალულია ყოველგვარი უსუფთაობის გამოტანა სასანიტარო აღმასრულებელი კომისიის ნება დაურთველად.

9) ქალაქში ხოლერის არსებობის დროს ფეხის ადგილების და სხ. გაწმენდა უნდა ხდებოდეს სასანიტარო აღმასრულებელი კომისიის მიერ შემუშავებულ წესების თანახმად.

10) მტკვარზე ჩასასვლელი ყველა გზები უნდა დახურულ იქნას და მცხოვრებთ აეკრძალოს მტკვარის წყლით სარგებლობა.

11) კანალიზაციის ყველა მილების თავი, რომელნიც მტკვართან არიან შეერთებული, უნდა წყალში იყოს დამალული.

12) აკრძალულია თეთრეულობის, საფენების და სხ. ნივთების მდინარეში, აბანოებში, ხრამებში და სხ. გარეცხა.

13) იმ ეტლს, რომლითაც ხოლერით ავადმყოფი გადაუყვანიათ ... ბანაკში, უნდა დეზინფექცია გაუკეთონ.

14) ტრამვაის ვაგონებს, ყოველ დღე სადამოობით, პარკში დაბრუნების შემდეგ უნდა გაუკეთონ დეზინფექცია სასანიტარო აღმასრულებელი კომისიის მიერ ნაჩვენები საშვალებებით.

15) ძველ გასაყიდ ტანისამოსებს უნდა დეზინფექციის კამერის ნიშნები უნდა ჰქონდეს.

16) ამ საგალდებულო დადგენილებების დარღვევისათვის დამნაშავე დაისჯება 3 თვით დაპატიმრებით ან 3000 მან. დაჯარიმებით.

ჰატარა ფელეტონი

ღამე-მკვრალას

(თარგმანი)

რად გიყვარვარ?

რად გიყვარვარ მე გიჟი, შეშლილი კაცი? განა ვიცი, სადა ჰყვავის ყვავილი, რომ შევამკო შენი თმები და შენი ახალგაზდა გულ-მკერდი? განა ვიცი სიტყვები სიყვარულისა, რომ მარტოობის დროს, როდესაც ოცნება შეგიპყრობს, ყურში გიჩურჩულო?

მე არაფერი ვიცი, არაფერი მაქვს: არც ყვავილი, არც ალერსი, არც ხვევნა-კოცნა... რად გიყვარვარ?—ხომ არ ოცნებობ, რომ სადმე მყუდრო ალაგას გაიკეთო შენი „ბუდე“? ან მშვიდი, წყნარი, ბედნიერი ცხოვრება ხომ არ მოგსურვებია, ისეთი ცხოვრება, რომელიც ყვითელ შემოდგომის ტკბილ დღესავით ჩაივლის ხ ლმე?

— მე არაფერი არა მაქვს, არაფერი.

მე მხოლოდ ვიცნობ გზებს კლდეღრეებისას, უფსკრულ-ხრამებისას. მიყვარს სიბნელე, ღამე და მარტოობა; მინდა მუდამ ვიხეტიალო, მწყურია მუდამ ბრძოლა. და ადრე თუ გვიან იგი ჩამითრევს მეც თავის გვამთა შორის და მეც გავიხრწნები მენ მარტო, ყველასაგან დავიწყებული... ვინ მოგიალერსებს მაშინ და ვინ გეტყვის სიტყვებს სიყვარულისას? რად გიყვარვარ მე, ავადმყოფი კაცი? გასწი იქ, სადაც ქვეყანა ჰყვავის, სადაც მრთელი ადამიანები, სიყვარულით აღტყინებულნი, ჰკრეფენ ყვავილებს და მღერიან სასიმღეროთ—იქ მოიპოვებ შენს გაზაფხულს... ჩემთან კი შენი სიყვარული ისე ჩაქრება, როგორც

ბიოლოგიური შენიშვნები

IX *)

წინა წერილში ჩვენ გვქონდა ლაპარაკი უჯრედის ცხოვრებით მოქმედებაზე, ეხლა განვიხილოთ როგორი გავლენა აქვს უჯრედზე ბუნების სხვა და სხვა ფაქტორებს: სინათლეს, სითბოს, ქიმიურ, მექანურ ძალებს და სხვა.

ვისაც ცოტათი მაინც თვალყური უდევნია ბიოლოგიის წარმართებისათვის, უეჭველია, უნდა ახსოვდეს, თუ რა დიდი უთანხმოება სუფევდა სწავლულთა შორის ამ საკითხის შესახებ. როგორც ვიცით, წინად სწავლულნი ცოტა ყურადღებას აქცევდნენ პაწაწა ორგანიზმთა შესწავლას; როდესაც სწავლობდნენ და ირკვევდნენ რომელიმე ბიოლოგიურ საკითხს, ისინი ხელმძღვანელობდნენ რთულ ორგანიზმთა აგებულობის შესწავლით. საზოგადოთ, წინადაც ყველამ ვიცოდით, რომ სინათლეს, სითბოს და სხვა ბუნები ძალებს დიდი გავლენა ჰქონდა ცხოველებზე და მცენარეებზე, მაგრამ, კერძოდ რაში გამოიხატებოდა ეს გავლენა სხეულის სხვა და სხვა ნაწილზე, არ ვიცოდით; მაგრამ ამ ხანამ საბედნიეროდ დიდი ხანია განვლო. ეხლა სწავლულთა შეხედულებით ყოველივე ცხოვრებითი მოვლენის დედა-ბოძად ითვლება უჯრედი. უჯრედი მარტივი სხეულია და ყოველივე რთული ორგანიზმი შესდგება მრავალ ამ მარტივ უჯრედებისაგან. ამისათვის ყველა ბიოლოგთა ყურადღება მიქცეულია უჯრედისკენ.

როგორც სწავლულთა დაკვირვებანი გვიჩვენებენ, ყველა ზემოგანცალკევებული ფაქტორებს დიდი გავლენა აქვს უჯრედის ცხოვრებაზე, მაგალითად: ზრდა, გამრავლება, ნივთიერებათა და ფორმის შეცვლა, ყოველგვარი კეთილ დღეობა, ბედნიერება და წარმატება სულ ამ ძალებზეა დამყარებული. სიტყვა რომ მარტო სიტვვად არ დაგვრჩეს, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითები ქიმიურ ფაქტორის გავლენისა უჯრედზე.

ავიღოთ რომელიმე მცენარის უჯრედი, ჩავსვათ ერთ წვეთ ზეთში და გავსინჯოთ მიკროსკოპით. მიკროსკოპი დაგვანახვებს, რომ, როგორც კი უჯრედს მოხვდება ზეთი და გაუჯდება სხეულში, ის მაშინვე შეჩერდება, მოსპობს თავის მოძრაობას, მერმე დადუნდება და, თუ მალე არ გამოვაცალეთ ზეთი, შეიძლება კიდევაც მოკვდეს, მაგრამ შეუცვლით თუ არა ზეთს წმინდა წყალით, უჯრედი, მაშინვე გამოცოცხლდება და განაგრძობს თავის მოქმედებას. ავიღოთ მეორე მაგალითი: წყალში ცხოვრობენ პაწაწა ძირ-ფეხები, ინფუზორიები, ამათ ეყვართ დამპალი წყალი და სძულთ მარილიანი. ამისათვის როგორც კი მათ სხეულს მოხვდება მარილის სიმჟავე, მაშინვე გიჟმაჟურათ იწყებენ სირბილს, ხან ერთ კედელს ეცემიან, ხან მეორეს, სცდილობდენ როგორმე გვერდი აუქციონ ამ სიმჟავეს, მაგრამ, დარწმუნდებიან თუ არა, რომ ცდა ცდად ურჩებათ, თან და თან მშვიდდებიან, ჩერდებიან, იკუმშებიან და სპობენ თავიანთ მოძრაობას. ეხლა რომ ავიღოთ და მარილ-მჟავიანი წყალი შეუცვალოთ წმინდა წყალით, დავინახავთ, რომ ისინი მაშინვე გაცოცხლდებიან და განაგრძობენ თავიანთ მუშაობას.

როგორც დაკვირვებანი გვიჩვენებენ, სხვა და სხვა ქიმიურ ნივთიერებას სხვა და სხვა გავლენა აქვს უჯრედზე; ზოგიერთი ნივთიერება დიდათ იშფოთებს მას, აღელვებს, ზოგიერთი კი ადუნებს და აცლის ყოველ გვარს მოძრაობის ნიჭიერებას. ამის მაგალითიც ბევრია ბუნებაში, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ამისათვის ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ უმთავრესებზე, რომელიც აუწერია ოდესის უნივერსიტეტის პროფესორებს კოვალევსკის და ზალეესკის.

ავიღოთ წყალ-ბალახა და ჩავსვათ წყლიან ჭურჭელში, დავასხათ ხლოროფორმი. როგორც ვიცით, ხლოროფორმი დიდებსაც აძინებს, მაგ. როდესაც ექიმები უკეთებენ ავადმყოფს რომელიმე დიდ ოპერაციას, ასუნთქვინებენ ხლოროფორმს, ავადმყოფი იძინებს და ძილში ვერაფერ ტკივილს ვეღარა გრძნობს; ამასვე განიცდის ყოველივე პაწაწა უჯრედი, როდესაც მის სხეულს მოხვდება ხლოროფორმი, ის მაშინვე დუნდება, ეშვება და ჰკარგავს ყოველივე გრძნობიერებას. ხლოროფორმის გავლენა იმდენად დიდია, რომ უჯრედი ველარ ახერხებს ნახშირ-მჟავის დაშლას და სახამებელის დამზადებასაც; ამასთანავე მას ეკარგება გამრავლებითი და ფორმის შეცვლის ნიჭიერება. ვისაც ზღვაზე უმოგზაურია აღბათ შენიშნავდა, რომ საღამოობით ზღვის ზედაპირი აქა-იქ ანათებს; სანახაობა იმდენად არაჩვეულებრივია, რომ ადამიანი განცვიფრებაში მოდის და ჰგონია ზღვაში სანთლები აანთესო, მაგრამ ეს წარმოდგენა ტყუილი წარმოდგენაა, სანთელს ზღვაზე არავინ არ ანთებს, ანათებენ პაწაწა ერთ-უჯრედიანი ორგანიზმები, რომელთ სახელად უწოდებენ „ნოქტიულიკები“, (ანუ ჩვენებურად ღამე-მნათობი). მიუახლოვდეთ ამ ნოქტიულიკებს და დავასხათ სპირტი. ნოქტიულიკებმა კარგათ იციან, რომ დიდი მავნებელია სხეულისათვის, ამიტომ, იგრძნობენ თუ არა შეეპარათ სხეულში სპირტი, მაშინვე ჩერდებიან და აღარ ანათებენ. ძმათა გარტვიგებს უცდიათ შემდეგი: აუღიათ ზღვის გველ-ხოკერას სპერმატოზოიდები და ჩაუსვამთ ხლორან-ღიდრატიან (ხლორალ-ღიდრატი ქიმიური ნივთიერებაა) ჭურჭელში; სპერმატოზოიდებს არ მოსწონებიათ ხლორალ-ღიდრატიანი სითხე და შეჩერებულან თავის მოძრაობაში. მერმე გარტვიგებს ამოუყვანიათ სპერმატოზოიდები სითხიდან და ჩაუშვიათ წმინდა წყალში; წყალში ისინი ისევ გამოფხიზლებულან და განუგრძიათ მხიარული მოძრაობა.

